# სამშობლო

წ. I 1915 წ. შაბათი 9 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 76 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 76


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



კვირას, 10 მაისს, დილის 11 საათზე, საფიჩხიის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელი შვილის

**ნ ი ნ ი ჩ კ ა ს**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მშობლები მოსე და ვასასი გვარჯალაძენი

1—1—302.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი"

ხუთშაბათიდან, 7 მაისიდან, ახალი დიდი პროგრამა

მ ხ ო ლ ო დ მ ო ზ რ დ ი ლ თ ა თ ვ ი ს

**რუსული სამხედრო ქრონიკა**

სკობელევის კომიტეტისა სენსაცია. ძმ. პატე!

**მისი აღმატებულება განცხრომაშია.**

დიდებული კომედია ფარსი 3 ნაწილათ. გამოჩენილი კომიკ მსახიობის, სოკოლსკის, მონაწილეობით. კარგათ ნათამაშევი ამ სურათის სანახაობა მაყურებლებში იწვევს დაუცხრომელ სიცილ-ხარხას. მისი აღმატებულების როლს შეასრულებს სოკოლსკი. პროგრამის გარეშე. შურის ძიება გარიყულისა ძლიერი საყურადღებო დრამა.

დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე.

ქუთაისი. — კვირას, 17 მაისს, ქალაქის თეატრში გაიმართება

დ ი დ ი სალიტერატურო-დრამატიულ-მუსიკალურ-იუმორისტიული,

**ს ა ღ ა მ ო**

საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. — ქუთაისი.

# ОБЪЯВЛЕНІЕ.

## Кутаисскій отдѣлъ по квартирному довольствію войскъ

вызываетъ 15-го мая сего года въ 12 часовъ дня желающихъ принять на себя подрядъ по соревнованію изустному и посредствомъ запечатанныхъ объявленій производства постройки бараковъ для больныхъ на суммы: 1) въ гор. Кутаисѣ 20.213 руб., 2) въ мѣст. Сурамѣ 12.864 руб., 3) въ гор. Сухумѣ 1862 руб. и 4) въ гор. Поти 2512 рублей.

Для участія въ соревнованіи необходимо представить паспортъ и залогъ денежный 15% или имущественный 20%.

Подробныя условія и смѣты можно видѣть ежедневно въ отдѣлѣ въ дни занятій. 3—3

Волжско-Камскій Коммерческій Банкъ симъ объявляетъ, что съ 12 мая переходить во вновь нанятое помѣщеніе доктора Гокіелова на Александровской улицѣ.

„ვოლგა-კამის" კომმერციული ბანკი ამით აცხადებს, რომ 12 ამა მაისიდან ის გადადის ექიმ გოკიელოვის შენობაში, რომელიც იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე.

3—2

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მოუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი", აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი"; შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი" რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

**თესლის გაყიდვა გძელდება.**

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი** გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**კაბინეთი** მასსაჟის და საექიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი ორთქლის ვანა, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აგრეთვე ვუცრი ყვავილს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დილით 2—3, საღ. 7—8. თ.

დ. ყვირილაში.

**სტუდენტი ვარლამ ფერაძე**

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან ვამზადებ მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში დაბალ და საშუალო სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწ. მოწმ., აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

მისამართი: ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—8—187


# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.***) ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. რაპატავის რაიონში გერმანელების ძლიერი კალონები რუსებმა არიეს და უკან დაახევინეს ივანისკუსაკენ. მათ რუსები სდევნიან.

ტარნობრჟეგ-რაზმადუკის ფრონტსა და ქვედა სანზე რუსები მტრის იერიშს კარგად იგერიებენ. იაროსლავ-ლოზახოვის რაიონში მტერმა სანის მარჯვენა ნაპირზე გამაგრება მოახერხა. იაროსლავის სამხრეთით კი ორივე ნაპირი რუსების ხელშია. პერემიშლს კვლავ ზარბაზნებს უშენენ. პერემიშლსა და დნეპრის დიდი ჭაობის შუა რუსების ჯარმა მოიგერია იერიშები მტრისა, რომელიც ძალიან ცდილობდა ამ ადგილას გამარჯვება. სასტიკი ბრძოლის შემდეგ 4 მაისს რუსებმა ისევ დაიბრუნეს თხრილები იმ ორი ბატალიონისა, რომლებმაც ამას წინად დაჰკარგეს გუსაკოვთან. დროგობიჩ-სტრიადოლინას რაიონში გერმანელებს, მიუხედავად დიდი ზარალისა, სულ ახალ-ახალი ძალა გამოჰყავთ ბრძოლის ველზე. ბევრს ადგილას რუსები კონტრ-იერიშებზე გადადიოდნენ და ასობით იპყრდენ ტყვეებს. ბისტრიცსა, დელატინსა და კოლომიასთან დაქანცული მტერი უმოქმედოთ იდგა. ამ ფრონტზე რუსები კვლავ იმარჯვებენ. სამხედრო დავლა და ტყვეების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

**ბოსტონი.** 5 მაისი. ლივერპულიდან გემი „ეტონია" მოვიდა. უფროსი იუწყება, რომ „ეტონიას"-ა და კიდევ მეორე გემზე იერიშები მიიტანა გერმანელების ორმა წყალქვეშა ნავმა, იმ მომენტში, როდესაც იგი „ლუზიტანიის" დახმარებას ლამობდა.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. 5 მაისის განმავლობაში მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე პილიცას სამხრეთით და მთელს გალიციის ფრონტზე მედგარი ბრძოლა სწარმოებდა, ამასთანავე ჩვენს ფრონტზე გერმანიის ახალი ძალები აღმოჩნდენ. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ილჟასა და ოპატოვოს დასავლეთით და აგრეთვე სანისა და ვისლის შესართავთან მდებარე რაიონში და მის მიდამოებში ჩვენი ჯარი მტერს მარჯვეთ ავიწროებდა. აქ ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 4 ათასი კაცზე მეტი. მტრის დიდძალმა ჯარმა, რომელიც მდ. სანზე გადმოვიდა, ცხარე ბრძოლის შემდეგ შესძლო გაშლა იაროსლავ რაზავ-სენიავას მიდამოებში. პერემიშლისა და იაროსლავლის შუა მდ. სანის ნაპირებზე ჩვენ რამდენიმეთ შევავიწროვეთ მტერი. მტრის ჰაეროპლანების რაზმმა პერემიშლეში ყუმბარები ჩამოყარა. პერემიშლეს სამხრეთით ლუტნოვისა და იატველის რაიონში მტერმა თავგანწირული იერიში მოიტანა, რომლის დროსაც, თუმცა დიდი ზარალით, მაინც შესძლო ჩაეგდო ხელში ჩვენი მოწინავე რამდენიმე თხრილი. დროგობილის ფრონტზე მტრის მედგარი იერიში მოვიგერეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ მას. კოლომეის დასავლეთით 6 მაისის ღამეს ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებდა პრუტის ორივე ნაპირზე. შაველის რაიონში ჩვენი ჯარი ფართო ფრონტზე განაგრძობს მტრის შევიწროებას. აქ ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ასი ტყვე. უფრო უმაგალითო ბრძოლა მტერმა სოფელ კურშანისთან აწარმოვა. დანარჩენ ნაწილებში მხოლოდ უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

**პეტროგრადი.** 6 მაისი. უმთავრეს როლს ახლანდელ მომხდარ ბრძოლაში ასრულებს გერმანელების დიდძალი ჯარი, რომელიც ამ ჟამათ იმყოფება იაროსლავის მახლობლათ, სადაც მიაღწიეს გორლიც იაროსლავ—რიაშჩევის რკინის გზის გასწვრივ ადგილებით. პირველათ მტერ-

*) ზოგიერთი დეპეში რედაქციას მოსდის იმ დროს, როცა გაზეთი უკვე აწყობილია, ამიტომ იმავ დღესვე მათი მოთავსება გაზეთში შეუძლებელი ხდება.

მა გორლიცასთან და ყენა ერთი კორპუსი. ჩვენს მესამე არმიას გერმანელებმა მრავალრიცხოვანი ჯარი დაუპირდაპირეს. ამასთანვე მტერმა ჩვენს პირდაპირ ფრონტებიდან წაყვანილ ნაწილებს გარდა ამ ფრთის შესავსებათ მოიშველია დასავლეთის ფრონტიდან პრუსიის გვარდიის მეორე და მესამე დივიზია, მეცხრე საველე ჯარი, 41-ე სათადარგიო კორპუსი 2 ზვოდის დივიზია, საუკეთესო საველე ძალებისაგან შემდგარი. ამ ფრთის სხვა ნაწილები იმდენათ ძლიერი იყო არტილერიით, რომ, მაგალითად, მრავალრიცხოვან ტყვეების გადმოცემით, 24 მათ ბატალიონს, რომელსაც მცირე ფრონტი ეჭირა, 40 ბატარეია ჰქონდა სხვილი კალიბრისა და ერთ ხაზზე არ ეტეოდა. სურსათის მიწვდა და განსაკუთრებით აურაცხელ ყუმბარების, რთულ საქმეს წარმოადგენდა. სიჩქარით მტრის ფრთა 5 ვერსს გადიოდა დღეში და ნამდვილათ ოცი დღე იყო საჭირო გორლიცამდი მისაღწევათ. ეს გზა მტერმა მთელს ფრონტზე შეუმჩნევლათ გაიარა. ჯარს არტილერია და ჰაერო პლანები იფარავდენ. ერთი დღის ბრძოლით იაროსლავთან ჩვენ მტრის ოთხი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე გამარჯვება დიდ სხვერპლს თხოულობს.

### სამხრეთის ასპარეზი.

**სოლუნი**. 5 მაისი. სტამბოლიდან იუწყებიან, სომხებთან ერთად უკანასკნელ დღეებში შეიპყრეს შერიფ-ფაშა, იზმაილ-ბეი და სხვა ოსმალები, რომელთაც მტრული განწყობილება გამოიჩინეს „ერთობისა და კავშირის“ პარტიის მიმართ. ისინი მონაწილეობდენ შეთქმულებაში, რომელიც მიჩხად ბევის წყალობით გამომჟღავნდა. უკანასკნელი რევოლიუციონერთა ბანაკს ეკუთვნოდა და მთავრობას აცნობა, რომ ენვერ-ფაშა, თალატ-ბეგი და სხვანი დახოცილ იქნებიან რევოლიუციონერების მიერ, როგორც კი მოკავშირეთა ფლოტი მარმარილოს ზღვაში გამოჩნდებაო. რევოლიუციონერების აზრით მხოლოდ ისინი არიან პასუხისმგებელნი, რათა ოსმალეთი ჩაითრიეს ეხლანდელ ომში, რომელსაც ოსმალეთი დაღუპვისაკენ მიჰყავს.

**სოლუნი**. 5 მაისი. მიტილენიდან იუწყებიან: 3 მაისს გალიპოლიის ნახევარ კუნძულზე 20 ტრანსპორტი მოვიდა მოკავშირეთა ჯარებით; ამ ჯარმა უნდა შეავსოს მოკავშირეთა ზარალი, რომელიც მათ მოუვიდათ გალიპოლზე. ოსმალებს სამხედრო მასალა აღარ აქვთ.

**ათინა** 3 მაისი. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ბრძოლა წინანდებურად გამწვავებულია, მოკავშირეთათვის კი ხელსაყრელია. ოსმალების ზარალი 55.000; ოსმალების ჰაეროპლანი სდევნა მოკავშირეთა ორმა ჰაეროპლანმა; ოსმალების ჰაეროპლანი ბერძენთა ლეგიონების ბანაკში ჩავარდა.

### იტალია და საერთაშორისო ომი.

**რომი**. 2 მაისი. სასამართლოს დაწესებულებებში მუშაობა შესწყდა. სამოქალაქო სისხლის სამართლის სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ნაფიცვექილთა მიერ გამოთქმული სურვილი, მათი რეზოლუცია გადასცა ყველა სასამართლო ოლქს. ამ რეზოლუციაში გაკიცხულია ჯიოლიტი იტალიის სახელმწიფო უფლებათა დარღვევის გამო.

ომში იტალიის აქტიურ ჩარევის პარტიის კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება ხალხისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მეფემ და მისმა მთავრობამ სალანდრას მეთაურობით 21 აპრილს გაუცხადა ვენის მთავრობას, რომ სამთა კავშირიდან გამოდის. ჯიოლიტიმ იცოდა ეს და ამ დროს სცდილობდა ხელი შეეშალა იტალიისათვის თავნადებ პატიოსნების მოვალეობის აღსრულებაში.

„მესაჯეროს“ სიტყვით, ომის გამოცხადების შემდეგ სამინისტროს შემადგენლობა გაძლიერებულ იქნება რამდენიმე ახალი უფორტფელო მინისტრით.

### გერმანიის რეიხსტაგის სხდომა.

**სტოკჰოლმი**. 5 მაისი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ შესდგა ერთი დღის სხდომა რეიხსტაგისა, რომელიც მოწვეული იყო რამდენიმე კანონ-პროეკტის განსახილველად. იმპერიის კანცლერმა შემთხვევით ისარგებლა, და გამოსთქვა აზრი ავსტრო-იტალიის დამოკიდებულობის საკითხის შესახებ; მან, სხვათაშორის, საბუთად მოიყვანა გრაფ ტისას სიტყვა. მან განაცხადა, რომ ავსტრია შემდეგ დათმობას დაპირდა იტალიას: 1. ავსტრია უთმობს იტალიას იტალიელებით დასახლებულს ტიროლის ნაწილს, აგრეთვე მდ. იზონფოს დასავლეთ ნაპირს, სადაც კი მისი მცხოვრებნი წმინდა იტალიელთაგან შესდგება, ამას გარდა ქალაქ გრადისკას; 2. ტრიესტი თავისუფალ ქალაქად უნდა გადაიქცეს იქ შემოღებული იქნება თვითმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის იტალიურ ხასიათს; იქვე არსდება უნივერსიტეტი; 3. იტალიის სუვერენიტეტი აღსარებული იქნება სოლანაზე და დამყარებული იქნება ამ ქალაქთან დაკავშირებული იტალიის ინტერესების სფერა; 4. ავსტრო-უნგრეთი გამოაცხადებს ალბანეთისადმი სრული უინტერესობის პრინციპს; 5. ავსტრო-უნგრეთის მთავრობა განსაკუთრებულის პატივისცემით მოეპყრობა ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომ იტალიელთა ეროვნულ ინტერესებს; 6. ავსტრო-უნგრეთი სრულ ამნისტიას გამოაცხადებს პოლიტიკურ და სამხედრო დამნაშავეებისას. რომელთა სამშობლო დათმობილი მხარეები იქნება; 7. ავსტრო-უნგრეთის მთავრობა პირდება კეთილ სურვილებით მოეპყრობას იტალიის მომავალ სურვილებს ყველა საკითხის შესახებ, რომელიც შეთანხმების საგანს შეეხება. 8. შეთანხმების გათავების შემდეგ ავსტრია-უნგრეთი მოვალეა საჯაროთ გამოაქვეყნოს დეკლარაცია ტერიტორიალურ დათმობათა შესახებ; 9. დაწესდება შერეული კომისია დათმობათა დეტალების მოსაწესრიგებლად; 10. ხელშეკრულების შემდეგ ყველა ავსტრიელი ჯარის კაცი დათმობილ ოლქებიდან, გათავისუფლებულ უნდა იქნენ სამხედრო ბეგრიდან და ომში მონაწილეობას აღარ მიიღებენ. თავის მოკავშირეთა შორის შეთანხმების მიღწევისათვის ხელის შესაწყობად გერმანიამ ვენის მთავრობის თანხმობით რულიად გარკვეულად თავს იდვა გარანტიები რომის მთავრობის წინაშე, რომ ავსტრო-უნგრეთი კეთილსინიდისიერად შეასრულებს ყველა დანაპირებს. შემდეგ კანცლერმა აღნიშნა, რომ ამჟამათ იტალიის ხალხმა პარლამენტთან ერთად ორში ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან მშვიდობიანობის გზით უნდა განახორციელოს ყველა მისი ეროვნული ზრახვა, ამასთანავე ფართო ფარგლებში, ან ომი უნდა გამოუცხადოს თავის გუშინდელ მოკავშირეს. კანცლერმა იმედი გამოსთქვა, რომ სასწორი მშვიდობიანობისაკენ გადიხრება, მაგრამ ამასთანავე დაუმატა, რომ, თუ სამთა კავშირი მაინც დაირღვევა ერთი რომელიმე მონაწილეთაგან, გერმანია მეორე მონაწილესთან ერთად უშიშრად შეხვდება ახალ ხიფათს.

**რომი**. 5 მაისი. გუშინ საღამოთი ჯიოლიტი საიდუმლოთ კავუარს გაემგზავრა მისი ავტომობილი ველოსიპედებზე მჯდომ პოლიციის აგენტებით იყო გარშემორტყმული. დეპუტატთა პალატას ხუთშაბათს კრება ექნება. მორიგ საკითხათ მთავრობის განცხადებაა წამოყენებული. დილით, როცა რუსეთის ელჩი გირსი კვირინალში იყო, ბიულოვმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი. შემდეგ სამინისტროში მივიდა ავსტრიის ელჩი, რომელიც ეთათბირა მინისტრს რამდენიმე წუთით. ადასტურებენ ცნობას, რომ ტრიესტში დიდი ამბოხება მოხდა, რადგანაც ყველა ახალგაზდა ჯარისკაცებათ გაიწვიესო. ამბოხებაში მონაწილეობას იღებდენ ქალები და მოხუცებულები. დაატუსაღეს 50 კაცი. დაჭრილთა რიცხვი ბევია. ააფეთქეს წამლის ორი საწყობი. ფლოტი მზათაა გავიდეს და ქალაქს ზარბაზნები დაუშინოს.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი**. საღამოს ოფიციალური ცნობით, ფრანგებმა მარჯვეთ მოიგერეს გერმანელების მეოთხე კონტრ-იერიში სტეესტრთან და შეინარჩუნეს კიდეც წინა დღით დაჭერილი პოზიციები. ამგვარათ ფრანგების ხელში დარჩა ისეთი ტერიტორია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელებისთვის. ამ ტერიტორიის დაბრუნებას გერმანელები კვლავ ცდილობენ. სტეესტრატის ცოტა ჩრდილოეთით ინგლისელებმა გერმანელები ძლიერ დაამარცხეს და დასწიეს რიშბურგ-ლაბუს ჩრდილო-დასავლეთით, ამავე დროს ფესტიუბერის ჩრდილო-აღმოსავლეთით ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს 1500 მეტრის მანძილზე თხრილები. ეს მეორე შეტევა კანერიუს გზით ინგლისელებმა განაგრძეს 600 მეტრის სივრცეზე და კიდევაც წინ წაიწიეს 1500 მეტრით მტრის ხაზებისკენ. გერმანელების ზარალი ამ ბრძოლაში შეუმჩნეველი იყო. სექტორში ინგლისის ჯარის ვალდაყვანა გრძელდება. არასის ჩრდილოეთით ჩვენ სამხედრო მოქმედება გავაფართოვეთ. ამ ოპერაციების მიზანი არის ახალი ფრონტის გამაგრება და ზოგიერთი პუნქტიდან მტრის განდევნა ამ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა დიდი ენერგია გამოიჩინა: ხელში ჩაიგდო ფერდობი 200 მეტრის მანძილზე გორაკის წვეროდან, რომელიც მიმართულია შაქრის ქარხნისკენ. ხელში ჩავიგდეთ აგრეთვე რამდენიმე ახალი სახლი. ნევილის ჩრდილო ნაწილში ავაფეთქეთ გერმანელების მიერ ჩამოკიდებული ბურთი. ოტევილის აღმოსავლეთით ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები ესროლეს სადგურს. ვილსიუტურბეს ჩრდილო-დასავლეთით შემონსა და შიმპანში ჩვენ მიერ დაწყებული სამხედრო მოქმედება ჩვენს სასარგებლოთ დასრულდა. კვირა ღამეს ჩვენს უკან მტერმა ააფეთქა ნაღმით სანგარი 8, და ამავე დროს გერმანელების რაზმმა დაიკავა სანგარის წინა ნაწილი. იმ წუთშივე ჩვენ კონტრ-იერიში მივიტანეთ მათზე და დათმობილი ადგილი უკანვე დავიბრუნეთ. აქ ხელში ჩავიგდეთ 77 ტყვე, მათ რიცხვში სამი აფიცერია. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ მეორე კონტრიერიში მივიტანე მტერზე. ხელჩართული შტიკიანი ბრძოლითა და სახელდახელო ყუმბარების სროლით ჩვენ მტერს წავართვით წინათ დათმობილი პოზიციები და დიდი ზარალიც მივაყენეთ. თხრილებში ჩვენ წავაწყდით 1000-ზე მეტ დახოცილ გერმანელ ჯარის კაცთა გვამებს. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 კაცი, მათ რიცხვში 10 აფიცერია. ვიხელთეთ 6 ტყვიისმტყორცნელი. ამგვარათ ყველა გერმანელი, რომელიც კი მონაწილეობას იღებდა ამ იერიშის დროს, ზოგი დაიხოცა, ზოგი ტყვეთ წამოვიყვანეთ და ზოგიც ადგილზე დარჩა.

**ლონდონი**. 5 მაისი. საადმირალო ადასტურებს ოსმალეთის ცნობას მარმარილოს ზღვაში წყალქვეშა ნავის დაღუპვის შესახებ. კამანდის შედგენილობიდან ტყვეთ წამოყვანილია 3 აფიცერი და 17 მეზღვაური.

**რომი**. 6 მაისი. საღამოთი მოწვეულია მინისტრთა საბჭოს კრება. მოელიან სერიოზულ გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია მებრძოლ სახელმწიფოთა ელჩების თათბირთან. სარწმუნო წყაროების ცნობით, ბიულოვსა და მაჩიოს ულტიმატუმის წარდგენის დროს პასპორტები არ მოუთხოვიათ. მტკიცდება ის აზრი, რომ გერმანიის დიპლომატია არ მიიღებს თავის თავზე ინიციატივას მოსალოდნელ ომის კრიზისის გადაწყვეტაში.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი**. 7 მაისი. ოფიციალური. კავკასიის ჯარების შტაბისაგან. ოლთისის გზით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე მანძილზე წინ წაიწია ჩრდილოეთისკენ და დაიჭირა სიმაღლეები ჩიხირ-ბაბასი და კოჯუტი. მელაზგერთის გზით სოფელ კოპთან ჩვენს მოწინავე ნაწილებს მცირე შეტაკება ქონდათ ოსმალებთან. ვანის გზით, ხინესურის უღელტეხილებიდან ოსმალებმა დეერისკენ დაიხიეს. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

## ქ. ქუთაისი, 9 მაისი.

რაც უფრო მეტს ვუკვირდებით ქუთაისის შინაურ ცხოვრებას, მით უფრო გაკვირვებაში მოვდივართ, მით უფრო ნათელი ხდება ჩვენთვის ის უილაჯობა და უიწყობა, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოთ ქართველების კეთილ დღეობას შინ თუ გარეთ, მარჯვნივ, თუ მარცხნივ.

დროებით ჩოსულები და შემოხიზნულები რომ არ ვიანგარიშოთ, ქუთაისში მარტო ძირითადი, მკვიდრი მცხოვრები სამოც ათასამდე იქნება და ისიც ყველა **ქართველი!**

საქართველოს არც ერთ ქალაქში არ მოიძებნება იმდენი დიპლომიანი და ნასწავლი ქართველი, რამდენიც ქუთაისშია.

საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის ისეთი ტურფა, კეკლუცი, შემკული და ბუნებრივათ მდიდარი, როგორიც ქუთაისი და ქუთაისის გუბერნიაა, მაგრამ..

მაგრამ არც ერთ ქალაქში ასე არ არის საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნებული, როგორც ეს ქუთაისშია!...

ისეთი კულტურული დაწესებულებაც კი, როგორიც არის ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქაური განყოფილება, ან აქაური დრამატიული საზოგადოება, სულსა ღაფავენ. პირველს ჰყავს სულ 406 წევრი, რომლის ნახევარსაც უეჭველად ფული არ ექნება გადახდილი, მეორეს კი... (სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს) სულ **ოცდა ათი გადამხდელი წევრი!**

სხვა კულტურულ დაწესებულებებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს!...

როგორი ლაა მცხოვრებთა ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, გართობა, საქმიანობა, ალებ-მიცემობა, ქველმოქმედება, პრესსა, ბრძოლა თავის დაცვისათვის, ზრუნვა აწმყოსა და მოქმედება მომავლისათვის?.

ჩვენ სულითა და გულითა გვსურს რომ ვცდებოდეთ, გვინდა რომ ქვემორე გამოთქმული მარტო ჩვენი საკუთარი აზრი იყოს, მაგრამ ვიდრე ჩვენი ნათქვამის დამტკიცება შესაძლებელია, არ შეგვიძლია გავჩუმდეთ და ჩვენი გულის ტკივილი საჯაროთ არ გამოვსთქვათ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ.

1) ურთიერთობა ქუთათურებისა მეტის მეტი უცნაურია. შეგნებული ნაწილი ქუთათურებისა ჯგუფებათ არის დაყოფილი: ერთი ერთმანეთის კიცხვა გმობის მეტს არას აკეთებენ. ერთი ჯგუფი მეორეს ებუზღუნება. ერთი მეორეს ჯიბეში ქვას უჩვენებს, ერთი მეორეს დედა მიწის ზურგიდან აღგვას უპირებს..

2) ერთმანეთთან მისვლა მოსვლა და მეზობლობა ქუთათურებს არა სცოდნიათ. ყველა თავისთვის მოკალათებულა და მეორეს რომ სახლი დაეწვას, გვგონა, ხელსაც არ გაანძრევენ.

3) აქაური გართობაც მდარე ხარისხისაა. სინომატოგრაფები, ფრაპი და მაკაო—ბაქარა. ქართულ თეატრს ეგრედწოდებული ინტელიგენცია არა სწყალობს.

4) საქმიანობის შესახებაც სანუგეშოს ვერას მოგახსენებთ.

იმდენი უსაქმური ხალხი, რამდენიც ქუთაისშია, არსად გვინახავს. თუმცა ყველა მორთულ-მოკაზმულია, ჯვარ მენდლებით აჭრელებულია.

5) ალებ-მიცემობა—უმეტესად უცხოთა ხელშია...

6) ქველმოქმედება ქუთათურებისათვის ახალი ხილია.

7) პრესსა ქუთაისში არა ხეირობს. დღევანდლამდე დაიღუპა 7—8 გაზეთი. რედაქციები გაკოტრდენ. მომატყუე-რედაქტორებმა და აგენტებმა სული ამოართვეს...

საზოგადოთ აქაურ გაზეთებს პროვინციალური, შინაური ხასიათი ჰქონდათ. და იგინი ემსახურებოდენ ან პარტიულ ინტერესებს, ან კერძო მეთაურების პირად გულისთქმას...

გაზეთს, პრესას ჯერაც ვერ მოუმაგრებია ფეხი...

თუ ყველას არ აამე, ყველას ფიანდაზათ არ გაეშალე, ყველას სასიამოვნოთ არ სწერე, კარში ნუღარ გახვალ, თუ ღმერთი გაგიწყრა და ბედმა გაზეთის ხელმძღვანელობა გარგუნა...

ასეთია ოფიციალური მხარე ქუთაისის ცხოვრებისა, ხოლო რამდენი უსამართლობა ხდება უჩინარად, ფარულად, რამდენი ცრემლი და ოხვრა, რამდენი ტანჯვა და მწუხარება, რამდენი უბედურება ადგია ხელმოკლე ხალხს—ამას ვერც ვერავინ აწერს და არც არავინ აგიწერინებს...

რაღა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში ბრძოლა თავის დაცვისათვის იყოს მეტის-მეტათ ფარული, ლაქიური, აგებული უფრო მოტყუებაზე, ვიდრე ვაჟკაცობა-გამბედაობაზე!

არც ის არის საკვირველი, რომ ისეთ პირობებში სუსტი იყოს ზრუნვა აწმყოსა და მოქმედება მომავლისათვის!

მას შემდეგ, რაც საქართველო გადმოვარდა თავის ისტორიულ გზიდან, ჩვენ ქართველებს, ერთი მეტად ცუდი ზნე დაგვჩემდა: ყველაფერს სხვისგან მოველით და სხვის თავითა და გულით ვცხოვრობთ...

არ გვაქვს ერთობა, არა გვაქვს ნდობა, არა გვაქვს შრომის მოყვარეობა საქვეყნო, საერო საქმისათვის...

ჩვენ არ შეგვიძლია კოლლექტიური მუშაობა, შრომა და ამიტომ ხვავიც არა აქვს ჩვენ ჰირნახულობას,

ამოდენა ქალაქი და ქვეყანა უპატრონოსა ჰგავს...

გაჭირვებაში ვლევთ დღეებს და ვცხოვრობთ უფრო ინერციით, ვიდრე ქართველურის ენერგიით და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ყველას დაბალ ლობეთ მივაჩნივართ.

მაგრამ „როდემდის ასე ჩემო უბედურო ქვეყანავ, როდემდის?“.

## გაუფრთხილდით საჭირო დაწესებულებას.*)

ამ ახლო მომავალში მოხდება არჩევნები ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავჯდომარისა, ვინაიდან დიდათ პატივცემულმა თ. ნ. დ. ერისთავმა ავათმყოფობის გამო სამსახურზე უარი განაცხადა.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომ ცალმხრივობა არავინ დაგვწამოს. **რედ.**

თ. ნ. ერისთავს საზოგადოება იცნობს, როგორც პატიოსანს და მიუდრეკელ მოღვაწეს და ეს შემდეგ [illegible] დააფასა ბანკის საზოგადო კრებამ. საქმის ინტერესები მოითხოვს [illegible] პირი მისი ღირსეული მოადგილე იყოს.

ყველამ უწყის, თუ რა ყალბ ნიადაგზე ხდება ხოლმე ჩვენში არჩევნები: პოლიტიკანობა, ერთი მეორისადმი შური და მტრობა, „მურდუ“-ნათლიობა და სხვა და სხვა, ყველა არჩევნების დროს იჩენს ხოლმე თავს. სასურველია, რომ ამ შემთხვევაში მაინც ზურგი ვაქციოთ ამ ჩვენი საზოგადო დაწესებულებების ძირის გამომთხრელ სენს; დავივიწყოთ პირადი განწყობილება ამა თუ იმ კანდიდატისადმი და ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ საქმის ინტერესებით.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ნორჩი ვაჭრობა-მრეწველობისათვის საზოგადოთ საკრედიტო დაწესებულებას და კერძოთ საურთიერთო კრედიტისას, რომელიც თავისი დანიშნულებით ემსახურება წვრილ ვაჭრობას.

ბანკის არსებობა მის ხელმძღვანელებზედ არის დამოკიდებული. ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი ბანკის ბედ-იღბალი, იგი უნდა გაიმსჭვალოს ერთის აზრით,—თვით საქმის ინტერესებით, და ისე მივიდეს საარჩევნო ყუთთან.

საზოგადოების ერთი ნაწილი ამ თანამდებობაზე შესაფერ კანდიდატათ ასახელებს ბანკის ეხლანდელ დირექტორს ბ. რ. ყ. დათეშიძეს, რომლის დაუღალავ შრომასაც ზოგიერთები აწერენ ბანკის დღევანდელ კარგ მდგომარეობას. რა თქმა უნდა ყოველ საქმეში კერძო პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ერთი კაცის შრომა ვერას გახდებოდა, თუ ბანკისადმი საზოგადოების დიდი თანაგრძნობაც არა ყოფილიყო. ამით რა თქმა უნდა მე არ მსურს ბ. დათეშიძის მოღვაწეობაში ეჭვი შევიტანო. პირიქით, შედარებით, კარგ კანდიდატათ მიმაჩნია, მაგრამ მის ღირსებასთან ერთად არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი საგრძნობელი ნაკლი, რაც ჩემის აზრით, ბ-ნმა დათეშიძემ უთუოდ თავიდან უნდა აიცილოს, თუ მას სურს, რომ მისი შრომა ბანკისათვის სასარგებლო დარჩეს.

ბ-ნი დათეშიძე ერთობ ბევრ დროს ანდომებს თავის პირად კომერციულ და საშუამავლო საქმეებს, რამაც არ შეიძლება, დღემდის თუ არა, მომავალში არ იქონიოს გავლენა ბანკის საქმეების მსვლელობაზე.

არსებული წესით, სააქციონერო ბანკებში მართველებსა და თანამდებობის პირთ აკრძალული აქვთ პირადი კომერციული საქმეების წარმოება, იმ მოსაზრებით, რომ მათი მოღვაწეობა ბანკში დამოუკიდებელი და მიუდგომელი იყოს.

ამავე მოსაზრებით სასურველია, რომ ჩვენმა არჩეულებმა მიბაძონ ამ კარგ მაგალითს, თუ სურთ, რომ ჩვენი ბანკის საქმეები უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდეს წინ. **გულშემატკივარი.**

## გვიხსენით ჩარჩებისაგან.

თქვენი მტერი შეწუხებულა ისე, მკითხველო, როგორც ჩვენ, წყალგაღმა ნაწილში, „დულაძისეულ“ ქალაქის მოედნის გარშემო მცხოვრებნი შეწუხებული ვართ მეწვრილმანე ვაჭრებისაგან.

ორი ათას მოსახლეს ეს ერთადერთი სავაჭრო მოედანი გვაქვს, სადაც ოთხშაბათ-პარასკევ-კვირაობით სოფლის ხალხს შემოაქვს სიმინდი, ფქვილი, ლობიო, ყველი, ქათამი, კვერცხი და სხვა სანოვაგე, მაგრამ ჩვენ, მცხოვრებლები, ვერ ვსარგებლობთ, რადგანაც ჩვენს მისვლამდი იქვე მოედნის პირას ჩამწკრივებულნი, ქალაქის გამგეობის მიერ დაბინავებული მეხულე მეწვრილმანე ვაჭრები შემოტანისათანავე ხელიდან გამოგლეჯენ ხოლმე სოფლელებს სანოვაგეს და დილის 9—10 საათზე ვეღარაფერს ვეღარ იშოვით; შემდეგ იძულებული ვართ ისევ ამ მეწვრილმანე ვაჭრებისგან ვიყიდოთ ყოველივე მამასისხლად.

ქალაქის გამგეობამ მოედნის პირას იჯარით მისცა მეწვრილმანე ვაჭრებს 8—10 ოთხკუთხი საჟენი მიწა, გააშენეს „დუქნები“, რითაც ქალაქს სარგებლობა ეძლევა, მაგრამ ჩვენ, მცხოვრებლებს, კისრმილით წელები გვეწვის. ბაზრის ზედამხედველს აქ ვერ ვხედავთ, სხვა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინა გვყავს პატრონი და ვართ გაჭირვებული. ნუ თუ არ შეიძლება მოეწყოს საქმე ისე, რომ 12 საათამდის სანოვაგის ყიდვა ვერ გაბედონ აქაურმა მეწვრილმანეებმა?!

**მარი ოლლი.**

---

**უქმეების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი გამოვა ოთხშაბათს 13 მაისს.**

---

# ახალი ამბავი.

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა სამმართველომ შემდეგი განკარგულება გამოსცა: რადგანაც უმაღლესმა მთავარ სარდალმა ზომები მიიღო, რომ ჯარის კაცები ყოველივე სანოვაგით უზრუნველყოფილი იყვნენ, ამიტომ ვაუწყებთ ჯარის კაცების ჭირისუფლებს, რომ ფოსტით გასაგზავნათ მიიღება მხოლოდ: ჩაი, შაქარი, თუთუნი, კაკაო, შოკოლადი, კონსერვები, წამლეულობა, საკანცელარიო და სხვა ისეთი ნივთები, რომლებიც გზაში არ გაფუჭდებიან.

✦ 7 მაისს, ქალაქის თვით მართველობის დარბაზში დანიშნული იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება, მაგრამ კრება წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის, გამო, არ შესდგა.

✦ ქართველ მსახიობთა ამხანაგობის გაზაფხულის სეზონი 6 მაისს დასრულდა. ამხანაგობას ამ სეზონში 27 წარმოდგენა გაუმართავს.

✦ როგორც ბაღდადის რაიონიდან გვწერენ, სიცივეებს ვენახები გაუფუჭებია.

✦ რედაქციამ მიიღო მასწავლებლის სიმონ ივ. ოცხელის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო „Новое слово“-ს პირველი ნაწილი. კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა. მშვენიერათ არის გამოცემული, შეიცავს 80 გვერდს და ღირს ორ აბაზათ.

✦ 8 მაისს, თფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ ქუთაისში გაარჩია გაზეთ „იმერეთის“ ყოფილ რედაქტორის თავ. ბ. ჯაიანის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა ვ. ვაზიანის წერილის „უბრალო ჭეშმარიტებანი“-ს ბროშიურებით გამოცემა და სამართალში მიცემული იყო სასჯელთა დებულების -ე 132-ე მუხლის ძალით. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი თავადი მექი ფაღავა. ბრალდებულის მხრით მოწმეებათ, სხვათა შორის, დაბარებული იყვნენ: ცენზორი ბ-ნი სუდაკოვი, სიმ. ოცხელი და მესტამბე დ. შერაშენიძე. ბრალდებულის თხოვნით საქმე ხალხის დაუსწრებლათ გაირჩა. მოწმეების დაკითხვისა და მცირე კამათის შედეგ სამოსამართლო პალატამ ბრალდებული თავ. ჯაიანი უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა. პალატამ ამავე დღეს გაამართლა ტყვიბულის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი სიმონ ანდრიასძე ბისტრინი, რომელსაც აბრალებდენ ხელმწიფის გმობას.

✦ კვირას, 10 მაისს, ქალაქის თეატრში მომღერალ ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

✦ ორშაბათს, 11 მაისს, მსახიობი ქ-ლი ქილარჯიშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება კ. ყიფიანის ცნობილი პიესა „შოთა რუსთველი“, დრამა 4 მოქმედებათ.

---

# გაკვრით.

ნათქვამია: ურემი რომ გადაბრუნდება გზა მერე გამოჩნდება“ ო. ვიდრე ბალახვანის ქუჩაზე გაქანებული ეტლის მსხვერპლი არ გახდება ვინმე, მანამდე ყურს არავინ გაიბერტყავს. გაიხედავთ და შუა ქუჩაში რაც ძალი და ღონე აქვთ, ისე მოაქანებენ ეტლს. იმ დროს ერთი ქვაფენილიდან, რომ მეორეზე გადადიოდეთ, ან უნდა მოასწროთ გაქცევა, ან და გამალებული ცხენების მსხვერპლი უნდა გახდეთ. თუ ღმერთი გაწყრა და ვინმე ბექებ მოხრილი მოხუცი შეეფეთა ეტლს, თქვენს მტერს იმისთანა, იმან გაქცევა ველარ მოახერხოს.

რატომ ყურადღებას არ აქცევენ, ან პასუხს არ მოსთხოვენ თავგასულ მეეტლეებს? მით უმეტეს, რომ ამ ქუჩაზეა ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი, სადაც სწავლობენ, როგორც დიდი, ისე პატარა ბავშებიც. ნუ თუ ეს ბავშები, რომლებიც წიგნებით იღლიაში მიეშურებიან სასწავლებლისკენ ან და სახლისკენ, მსხვერპლი უნდა შეიქნენ თავხედი მეეტლისა, ან და მოქეიფე ყმაწვილებისა?

საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

**თამარა აბდუშელიშვილი.**

---

**ქართველთა შორის წ.-კითხვის საზ. ქუთ. განყოფ. მაისს 10 განზრახულ სეირნობისათვის შემოვიდა:**

ქ. ეკატერინე თეიმურაზის ასულმა აბდუშელიშვილისამ—ორი ბროლის ხილის ვაზა. ევნატე ნარსიამ და ამხ.—5 მ. ფულად. ელისაბედ ანთაძის ასულმა—5 მ. ფულად. ზინზერფარბმა—1 დიდი შუშდუხი. ძმ. კომეტიანებმა—ბისკვიტი, კანფეტი, ყავა, შოკოლადი, კონვერტები. ბალანჩივაძემ და შენგელიამ—თხილის სატეხი საკეცი, მაგრატელი, დანა, ლურსმანი. სპირდონ ნადირაძემ—4 კოლოფი მონპასიე და 1 დიდი კოლოფი მარმალადი. ერასტი ურელიამ—1 პატარა ფარანი. ვლადიმერ ხითარიშვილმა—4 რიზინის ბურთი. კობეშავიძემ და ჩიხლაძემ—1 ბურთი და 1 საპონი.

ქაშიბაძისაგან—1 ჩოთქი. სილიბისტრო ბარაბაძისაგან—1 პორტმანი. კვანტალიანებისაგან—12 რიზინის ბურთი. მეორე ქალაქის აფთიაქმა 6 კოლოფი პუდრი, 12 ნაჭერი საპონი, 6 კბილის ჩოთქი. ლუარსაბ კაპანაძემ—1 კალათი და 12 კარანდაში. ივანე ბარქაიამ—3 კოლოფი მარმალადი და კონვერტები. გიორგი ჰოლოშვილმა—2 ნაჭერი საპონი. ნოე რუსაძე—1 ქუდი. ალექსანდრე ფალიევმა—1 ნაჭერი საპონი და 4 პაჩკა ფხვნილი თავსაბანი—შამპუნი. იაკობ გვეტაძემ—1 დიდი ბურთი.

---

# პატარა ფელეტონი.

### ოღონდ ჰქონდეს ფული.

(ლექსი ა. გ—ძისა).

ეხლა, ამ ჩვენ დროში,—
თუ ქალსა აქვს გროში,
თუნდა ჰგავდეს კუნძსა,
იდგეს საყასბოში,
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
თუნდა იყოს ცეტი,
ანჩხლი მეტის მეტი;
ერთი სიტყვით, რა ვსთქვა,
თოკით ანაწყვეტი!
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
გინდ იცოდეს ცემა,
მომცეს ტანჯვა, გვემა,
ვითომ დავიწუნო?
არა, ჩემმა მზემა!
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
თუნდა იყოს კუტი,
ყოფაქცევით პლუტი,
იყოს ჭირვეული,
სუფრაზე გამბუტი...
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
პური არ მაჭამოს,
მტანჯოს და მაწამოს,
ყოველ ცისმარე დღეს
ლუკმა გამიშხამოს,—
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
ცალკე ისადილოს,
სხვასთან იხადილოს;
დროება ატაროს,
გული გაიგრილოს,
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
მწარე ჰქონდეს ენა,
მომიწამლოს ლხენა,
ფულის გულისათვის
უნდა მქონდეს თმენა...
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
იყოს მცირე გვარიც,
. . . . . . .
ერთი სიტყვით იყოს
მეტად საზიზღარიც,
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
თუნდა სჭირდეს ბნედა,
ისტერიკაც ზედა
თუ უარი უთხრა,
მაშ წამიწყდეს დედა!
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული.
ოღონდ ჰქონდეს ფული,
მიწა და მამული...
თუ არს ამით სრული?
ვითხოვ, ღმერთი, რჯული!

---

# ფოთის ავ-კარგი.

დღევანდელმა სიძვირემ ყველა აალაპარაკა. იკვლევენ საშუალებას, რითი დააღწიონ თავი ამ უბედურებას. ამ საშვალების გამოსარკვევად, ამ დღეებში ქ. ფოთის თვითმართველობის დარბაზში მოხდა კერძო თათბირი ხმოსნებისა და ქალაქის გამგეობის წევრებისა. ბ-მა ტყემალაძემ და ხოშტარიამ მოახსენეს კრებას ის მიზეზები, რომელიც გამოიწვია დღევანდელმა მდგომარეობამ და ხაზგასმით აღნიშნეს დღევანდელი სიძვირე უსაჭიროეს სანოვაგეზე, მიუთითეს კრებას იმ საშვალებებზე, რომლითაც შეიძლება საზოგადოებამ ებრძოლოს ამ მოვლენებს; და სთხოვეს კრებას, ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, მათვის მიეცა ნება სესხის აღებისა არა უმეტეს 8.000 მან. ამ თანხით გამგეობას სურს თვითონ გამოიწეროს ფქვილი და შაქარი და მიაწოდონ მცხოვრებლებს. ქალაქის გამგეობა აღებულ სესხში აძლევს მოგებათ 10%. კრებამ გამგეობის მიერ წამოყენებული წინადადება ერთხმად დაამტკიცა. იქვე ხმოსნები ერთმანეთში შეუდგნენ თანხის შეგროვებას და თვითვე შეკრიბეს 2.500 მანეთამდი. ძლიერ სასიამოვნოა გამგეობის მიერ ასეთი გადადგმული ნაბიჯი. საჭიროა მხოლოდ გამგეობამ, რაც შეიძლება მალე მოიყვანოს სისრულეში ეს კეთილი საქმე.

კოოპერატიულ ამხანაგობის „ეკონომიის“ ფურნე დიდ სამსახურს უწევს საზოგადოებას. აცხობენ პურს საუკეთესო ხარისხისას და $^1/_2$ კაპ. უფრო იაფადაც აწვდიან მყიდველებს. ამ გარემოებამ უკვე დაბადა უთანხმოება სხვა მეფურნეებში, რომელნიც ყოველივე საშუალებას ხმარობენ ხელი შეუშალონ ამ საქმის წინსვლას: ავრცელებენ ჭორებს, ვითომც „ეკონომიის“ ფურნეში გამომცხვარი პური ნაკლები ღირსებისაა, ძვირათ ჰყიდდენ და სხვა. საზოგადოება შოვალეა ასეთ ხმებს ყურადღება არ მიაქციოს. აშკარაა, თუ „ეკონომიის“ ფურნე დაიკეტა, მაშინ მეფურნეების თავგასულობას საზღვარი არ ექნება.

23 აპრილს გაიმართა აკაკის სალამო. სალამო გაიხსნა ბ-ნ დ. უზნაძის მოხსენებით აკაკიზე. მოხსენება ძლიერ შინაარსიანი გამოდგა და ხალხმა ბ-ნი უზნაძე ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა. მოხსენების შემდეგ, ითამაშეს „ბუტიაობა“, წაიკითხეს ლექსები, დასდგეს ცოცხალი სურათები და სხვა. ხალხი ნასიამოვნები დარჩა სალამოთი. ყველამ პირნათლათ შეასრულა თავისი როლი.

ამ თვის 23 ს იგივე საზოგადოება აპირებს წარმოდგენის გამართვას. პიესა უკვე არჩეულია და მზადებას შეუდგნენ. სდგამენ აქვსენტი ცაგარლის დრამას „ქართველ დედას“.

1 მაისს საკათედრო ტაძარში თამარობის დღის აღსანიშნავად იყო წირვა. მწირველი იყო ყოვლადსამღვდლო ლეონიდი. წირვის შემდეგ მან საზოგადოებას მიმართა შესაფერისი სიტყვით. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

**ფოთელი.**

---

# წერილი სვანეთიდან.

ჩვენი ცხოვრება და მდგომარეობა აუწერელი ტანჯვაა და სხვა არაფერი! კავკასიის უმაღლეს მთებში რვა თვე ჩამწყვდეული ვართ და თუ ვინმემ გასწირა თავი და შეუდგა მუშურის მთას—უბედურება მოელის.

მკითხველმა უწყის რამდენი უმსხვერპლია მუშურის მთას.

წარსული წლის მარტის დამლევში იმერეთიდან მოდიოდა ორი ძმა კოსტა და გიორგი ფანგანები და როდესაც მთის წვეროზე ამოაწიეს, მოსწყდა ზვავი და ორივე იმისთანა ხრამში ჩაჰყარა, რომ მაისის დამლევამდი მათი დატანჯული მამა ყოველ დღეს დაქვითინობდა. მხოლოდ მაისის დამლევს ეღირსა საბრალო მამას თავისი საყვარელი შვილების გაციებული გვამების ხილვა.

გაზაფხულზე უარესია, მიმოსვლა უგზოობის გამო, ზოგს ცხენი ეღუპება და ზოგს სურსათი. აი მაგალითად, წარსულ წლის მაისის თვეში მოდიოდენ მოსაგებიდან სამსონ გულბანი და ივანე პირველი, ნახეს თავისი ოჯახობა ულუკმოთ, დაბრუნდენ დაბა ხონში, იყიდეს თითო დავარდნილი ცხენი, აჰკიდეს სიმინდი და როცა მოვიდენ ლატფარის მთაზე, ორივეს ცხენები გადუცვივდენ ხრამში, თავის სიმინდიანათ. ეს იყო 16 ივნისს.

ახლანდელი ჩვენი ბ. ბოქაული ცდილობს შოუმსუბუქოს მძიმე ტვირთი თავის მოძმეებს. ამისათვის თვითონ წავიდა მთაზე ორის კვირით, წაიყვანა ხალხი, გზები შეაკეთებია და საჭირო ადგილებში ჯარგვლები დადგა, რომ გაჭირვებულმა მგზავრმა თავი შეიფაროს და სიკვდილს გადარჩეს. ისედაც კარგს უშფოთველ ცხოვრებაშია სვანეთი, ამ ბოქაულის ხელში, მართალი უთქვამთ ჩვენ ძველებს: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო.

როგორც იმერეთიდან, ისე რაჭიდანაც გვესმის გაზეთების საშუალებით, რომ უგზოობის გამო სიმინდი ვერ მივიტანეთო, და ქართველებისაგან გარიყული სვანეთი კი არავის ახსენდება. თუ ისე არ შეგჭირთ თქვენი ძველი სავანე, მოდით და ადგილობრივ ინახულეთ და იგემეთ სხვადასხვა მადნეულის მჟავე წყლები და თქვენ მიერ შემოხიზნული განძეულობა, მაშინ მაინც დაამტკიცებთ, რომ ჩვენ ვართ ნამდვილი ძველი ქართველები. წმინდა სახარებაში არის ნახმარი სვანური ძველი ქართული, ე. ი. რომელზედაც ეხლა ვლაპარაკობთ და მასთან საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც, სულ ჩვენი ენა არის ნახმარი. ამითი მტკიცდება, რომ ჩვენ ვართ ძველი ქართველები.

ბატონნო მოამაგენო იმ დროს, როცა თქვენს ედემის ბაღის მსგავს ვაკე იმერეთს ზღვა ჰფარავდა, მაშინ სვანეთის ქართველები თავზე დავცქეროდით.

თუ-კი შიდა ქართლში საჭიროა ხალხის დახმარება ყოველის მხრით, რატომ თქვენი გაჭირვებული მოძმე სვანები არავის გაგახსენდებათ, რომ უგზო-უკვლობისა გამო უკიდურეს მდგომარეობაში ვართ და ლამის შიმშილით ამოვიხოცნეთ?! მოგვხედეთ, ბატონებო, დაგვეხმარეთ, დაგვიხსენით სიმშილისა, წყურვილისა და უმეცრებისაგან...

**მღ. გიორგი პირველი.**

P. S. რედაქცია სთხოვს მ. გიორგი პირველს, ხშირათ მოგვაწოდოს ხოლმე ცნობები სვანეთიდან.

**რედაქცია.**

---

# ომაინ იესეს ძე იოსელიანი.

(მოგონება)

„Ты вчера былъ съ нами
Въ цвѣтѣ силъ, надеждъ и лѣтъ
А сегодня, другъ мой бѣдный
Отъ тебя простылъ и слѣдъ.“

**Минаевъ.**

ეს სიმართლით სავსე სიტყვები მომაგონდა სწორედ მაშინ, როდესაც დეპეშამ ომაინ იოსელიანის უეცრივ გარდაცვალების ამბავი მომიტანა...

დიდ ხანს ვიდექი უხმოთ, ღრმათ ჩაფიქრებული. მართლაც გუშინ იმასთან ვიყავი, ერთად ვისხედით, დიდხანს ტკბილათ, მეგობრულათ ვმუსაიფობდით და დღესაც კი... დღეს საუკუნოთ ერთმანეთს ვშორდებით... ვფიქრობდი ჩემთვის..

ოცნებამ კიდევ შორს გამიტაცა. ამ მოულოდნელმა ამბავმა მთელი ჩემი თოთხმეტი წლის განმავლობაში სახალხო მასწავლებლის ასპარეზზე მასთან ერთათ, შრომა-მოღვაწეობის სურათი უცებ თვალწინ გადამიშალა.

აგერ, ვხედავ ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის ორ სართულიან ქვიტკირის შენობას, სავსეს ცქრიალა, მოზარდ გლეხის ბიჭებით, იქვე შკოლის პატარა, მაგრამ კოპწია პატარძალივით მოკაზმულ-მოვლილ ბაღჩა-ბოსტანს.

პატარა ზარის ხმაზე შენობიდან გამოსულს შკოლის მალხაზ და ცქვიტ პატარა ბიჭუნებს, მათ ხტუნვას, ნავარდობას და უდარდელ ცელქობას...

მესმის მათი კიჟინი, სიცილ-კისკისი, ალტაცებული სიმღერა. ვხედავ მათ შორის ჭაღარით შემოსილ, უფროს ამხანაგს, განსვენებულს ომიანს, ბავშვების ჭკუის დამრიგებელს, მათთან ერთად ჭირის და ლხინის გამზიარებელს.

დიახ, ვხედავ... იგი დგას... გარს ბავშები ასევია და გარეთ, ბაღში ბუნების მოვლენათა სხვადასხვა მიზეზებს უხსნის მათ. ელაპარაკება მათ ძმურად, ამხანაგურად, მამა შვილურად...

ეგერ, ერთი ჯგუფი ყმაწვილებისა, პატარ-პატარა თოხებით ბახჩაში ხეებს რგავენ, ყვავილებს რწყავენ, მიწას ამზადებენ-აფაქიზებენ.

აქაც განსვენებული ომაინი. მისი სწავლა-აღზრდა და დარიგება აბრწყინვალებს პატარა მომავალ მუშების პირის სახეს, უმატებს მათ ენერგიას, სურვილს და სიყვარულს შრომისადმი.

ასე და ამგვარის უანგარო სიყვარულით, თბილი გულით უვლიდა და თავს ევლებოდა განსვენებული, ომაინ იოსელიანი გლეხის პატარა ბიჭებს, თავის ხანგრძლივ მასწავლებლობის დროს.

ამგვარსავე გრძნობას და ბავშვების სიყვარულს თხოულობდა ჩემგანაც, როდესაც მე მასთან, ოთხმოციან წლებში, ყვირილაში მეორე მასწავლებლათ ვიყავი დანიშნული.

მაშინ მე სულ ახალგაზრდა, ... ვაშო ვიყავი, ომაინი კი ... დიდი და ხელოვანი მასწავლებელი იყო.

თოთხმეტი წელიწადი ერთად ვეწეოდით ამ მძიმე, პასუხსაგებელ სახალხო საქმეს.

განსვენებული იმ დროის სემინარიელი იყო, როდესაც ჩვენში მცირე ნასწავლებსაც, თითქმის ყველა უწყებაში, სანთლით ეძებდენ. ომაინს, სხვა უწყებაში, რასაკვირველია, თვალსაჩინო ადგილის მიღება შეეძლო. მაგრამ მისი წყნარი, მშვიდობიანი ხასიათი და მოწოდება, თურმე სულ სხვაგან იწვევდა, სულ სხვა ალაგს უმზადებდა მას.

30 წელიწადი შეუწყვეტლივ და უმწიკვლოთ ემსახურა სახალხო განათლებას.

სიკვდილის დღემდის, უყვარდა იგი და ზურგი არ უჩვენებია მისთვის. ემსახურა ერთგულათ, ნაყოფიერად. შორაპნის მაზრაში, დღეს ასობით და ორასობით მოიპოვება მისი ნამოწაფარი, მისმიერ აღზრდილნი, გონიერ გზაზე დაყენებულნი, რომლების მეხსიერებაშიაც განსვენებული ომაინი მუდამ ცოცხალი იქნება, ისინი თავის ერთგულს, კეთილს და მოუსყიდელ მასწავლებელს ომიანს, არასოდეს არ დაივიწყებენ.

**თეოფილე ხუსკივაძე.**

(შემდეგი იქნება).

# თეატრი და ცხოვრება.

**„ცხოვრების ტალღებში“—შ. სანებლიძისა.**

გაზაფხულის სეზონი ჩვენმა მსახიობებმა ახალი პიესებით და ბენეფისებით დაასრულეს. ერთი ბენეფისი ბ-ნ ნიკო გვარაძესაც ერგო. ამ ახალგაზრდა და შრომის მოყვარე მსახიობმა თავის საბენეფისოდ აირჩია ახალი ორიგინალური პიესა ბ-ნ შ. სანებლიძისა—„ცხოვრების ტალღებში“, რომელიც 6 მაისს წარმოადგინეს.

მობენეფისესათვის ეს კარგი არჩევანი შეიქნა. ერთხელ კიდევ ვიხილეთ სავსე თეატრი. ამასთან ერთად პიესამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დაგვიტოვა.

ამ ახალმა ნაწარმოებმა დაგვაინტერესა, მაგრამ დაგვაინტერესა ამ პიესის არა ტეხნიკურმა მხარემ, სიუჟეტმა, სცენების უნაკლულობამ, ან კიდევ მისმა ხელოვნურმა შესრულებამ, არა! ჩვენ დაგვაინტერესა ავტორის ობიექტივიზმმა, მისმა მსჯელობამ, მიუდგომლობამ.

ეს ნაწარმოები პარტიულია—თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მაგრამ არა ამ სიტყვების ბრჩხილებში ჩასმით, არა ისეთი ნაწარმოები, სადაც გატარებული არის ხოლმე ცალმხრივობა, ერთგვარი პარტიული ჟინი და ფანატიზმი.

პიესას ჩამოშორებული აქვს ეს მომაკვდინებელი ნაკლი და იგი ცხოვრების სინამდვილესთან არის გადაბმული, დაკავშირებული.

აი რა არის ჩვენთვის საყურადღებო, მართლა რომ ორიგინალური.

ცხოვრება ზღვაა, აბობოქრებული ტალღებისაგან შემდგარი. ამ პიესაშიც ჩვენ ვხედავთ ტალღებს მრავალფეროვანს, მდგომარეობათა სხვადასხვაობისაგან გამოწვეულს.

კაპიტალისტი თავისი გაუმაძღარი მადით, მშრომელი კლასი მხოლოდ თავისი ჯანისა და მარჯვენის პატრონი, ერთ წრეში ნაზი თანაგრძნობა, სპეტაკი სიყვარული, თავგანწირვა, მეორეში, მტრობა, გაუტანლობა, სიყალბე, ეს ყველა ცხოვრების ტალღების ნამსხვრევებია. იგინი ბობოქრობენ ადამიანის ცხოვრების გზაზე, ითრევენ თავის სიღრმეში ადამიანის პიროვნებას, მხოლოდ რომელ ზვირთს, რომელ ტალღას აირჩევთ ეს თქვენზე არის დამოკიდებული, ეს თქვენი მისწრაფების საქმეა...

მოკლედ გავეცნოთ პიესის შინაარსს.

დიდ კაპიტალისტს მუშები წარუდგენენ მოთხოვნილებას თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მექარხნეს არ სურს მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ რომ დროებით საჩქაროთ შეკვეთილი მასალის მზადება არ შესწყდეს, იგი მიმართავს ხერხს, დაპირებას. თავდებათ მუშების წინაშე, რომ კაპიტალისტი შეასრულებს თავის დაპირებას, დგება მექარხნის ვაჟი—შოთა, რომელსაც უსაზღვრო ნდობა აქვს მოპოვებული მუშებში. იგი დასცლია (როგორც პიესაში ხმარობენ) თვით გაფიცვის ხელმძღვანელი და მათი მოთხოვნილების მეთაური. გავიდა დრო. მოაწია ვადამ. მექარხნემ არ შეასრულა თავისი დანაპირები. მოტყუვდენ მუშები, მოტყუვ-

და თვით შოთაც, რომელსაც თუმცა მამის იმედი არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ თუ მას ასე თავგანწირვით გაიმეტებდა, 'ეს' კი არ ეგონა. მუშები ხელახლა გაიფიცებიან. შოთა მოღალატეთ მიაჩნიათ.

კაპიტალისტი ქარხანასა ჰკეტს, მუშებს კი პოლიციას მიუსევს. შეიქნება ბრძოლა. შოთაც იბრძვის მუშათა მწკრივში და ამ ბრძოლაში იღუპება...

ასრულება ამ პიესას ძალიან და ძალიან სუსტი ჰქონდა. *) ბევრი დეფექტების აღნიშვნა შეიძლებოდა, ისე როგორც აღნუსხვა პიესის სუსტი სასცენო მხარეებისა, მაგრამ რადგანაც მასალის ღირებულება სავსებით გვაკმაყოფილებს, ამ ნაკლოვანებებს ამ ჟამათ არ გამოვუდგებით.

რა ვუყოთ თუ ახალგაზდა ავტორი პიესის მხატვრულ მხარეს ჯერ ვერ სძლევს, ჩვენ მადლობელი ვართ იმ ცოცხალი აზრისა, რომელიც გატარებულია ალაგ-ალაგ ამ პიესაში.

ეს ცოცხალი აზრი კი ჩვენს დროში მეტად საჭირო და სასურველია.

პიესაში ძალიან ბევრია უცხო ენაზე ბაასი და წამოძახილი.

აღსანიშნავია მეორე მოქმედების სცენა.

ჩაის მაგიდას უსხედან გაფიცვის მეთაურები შოთა და ვახტანგი. მათშორის სწარმოებს დაახლოვებით შემდეგი დიალოგი:

**შოთა.**—საჭიროა გაფართოვდეს ჩვენი პარტიული გამოცემა. ჩაერიოს ახალი ძალები. გაიწმინდოს პრესა, მოისპოს ჩვენში არსებული პარტიული სიმკაცრე, უთანხმოება, რომ ჩვენც შეგვეძლოს მივაღწიოთ საკაცობრიო იდეალს, შევსდგათ ფეხი საკაცობრიო ოჯახში.

**ვახტანგი.**—არა ჩემო ძმაო! იმ ერმა, რომელმაც ათას წლობით გასძლო, შეინარჩუნა თავისი ენა, თვისება და კულტურა, მას უკვე სრული უფლება აქვს საკაცობრიო ოჯახის წევრად ირიცხებოდეს.

კეთილი იყოს ბ.ბ. შოთა და ვახტანგ თქვენი გულის ამონაკვნესი.

გაუმარჯოს თქვენს აზრს.

მაგრამ გისურვებთ, რომ თქვენი აზრები თქვენს ჩაის სუფრას გასცილებოდეს, გადაშლილიყოს სამშობლოს მთელს სივრცეზე, მრავალს თქვენთაგანს შეეგნოს ეგ ჭეშმარიტება, რომ უფრო გაადვილებულიყოს ცხოვრების სასტიკ ტალღებთან ბრძოლა და გამარჯვება...

**ჯაფარ-ფაში.**

P. S. თუ ხელოვნების მიზანი და დანიშნულება, საზოგადოთ ხალხთა და კერძოთ კაცთა, ადამიანთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებაა, ბ-ნ შალვა სანებლიძის პიესა ხელოვნურ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს იმ პარტიულ არევ-დარევის დროს, რომელსაც განიცდის ქართული მწერლობა ამ უკანასკნელ 10-12 წლის განმავლობაში. ჩვენის აზრით, ეს პიესა ერთადერთი „პარტიული“ ნაწარმოებია, რომელშიც—მიუხედავათ ტეხნიკურ ნაკლისა—ნათლად არის დაგმობილი ფანატიკოსობა და პარტიული სიბრმავე ერთის ჯურის ხალხისა. და თუ პიესის დედა აზრს ახალგაზდა ავტორის იდეიური ამხანაგებიც იზიარებენ, უნდა ვთქვათ, რომ მათ აზროვნება-მოღვაწეობაში იწყება ახალი ხანა, უფრო სასარგებლო და ხელსაყრელი ჩვენი დაჩაგრული ქვეყნისათვის, ჩვენის გზა აბნეულისა და გარემოებისაგან უვიცობაში ჩაფლულ მშრომელი მასისათვის.

მეტი სინათლე, მეტი სამართლიანობა, მეტი თანამშრომლობა და მეტი კულტურობა! აი ის ლოზუნგი, რომელიც, ჩვენის აზრით, გამოსჭვივის ამ პიესიდან.

რაც შეეხება ამ პიესის მხატვრულსა და ტეხნიკურ მხარეებს—როგორც დრამატიული ნაწარმოებისას, ამის შესახებ თუ დრო დაგვრჩა და გარემოებამ ხელი შეგვიწყო, შემდეგ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

**ია ეკალაძე.**

# მდგომარეობა.

## ქუთაისის ქალაქის სკოლების მასწავლებლებისა.

(საბჭოს ხმოსანთა საყურადღებოთ).

ბაქოს, თფილისისა და ბათომის სკოლების მასწავლებელთან შედარებით ჩვენი მასწავლებლები ქონებრივად დიდ გაჭირვებას განიცდიან, განსაკუთრებით მოძრაობის შემდეგ და ამ ომიანობის დროს, როდესაც ცხოვრება ერთი სამად გაძვირდა.

ამ 10—15 წლის წინად ქუთაისი თუ ნაქები იყო სანოვაგის სიაფით და 30—40 მანეთით თვეში მოსახერხებელი იყო ცხოვრება და თავის გატანა, დღეს 60—80 მანეთითაც სჭირს არსებობა, რადგანაც ყველაფერი თანდათან ძვირდება. მაგალ., განაპირა უბანში, შუა ქალაქიდან ორი ვერსის დაშორებით, ორ ზომიერ ოთახს 12 მანეთად ვერ იშოვით თვეში, როდესაც წინად 4—5 მანეთიც საკმაო იყო, შეშა კუბიკური საჟენი 40 მანეთად ფასობს, სოფლებიდან ჩამოტანილი კი გოგორა ურემი შეშა, რომელიც ერთ კვირას ძლივს კმარა, 2—3 მანეთად ღირს, სიმინდის ფქვილი ფუთი იყიდება ცხრა აბაზათ, ოყა პური 14—16 კაპ., ოყა ხორცი სამ აბაზათ, ერთი ქათამი—7—8 აბაზათ, წიწილა, რომელიც ერთ ბავშსაც ვერ გააძღებს 6—7 შაურად, ტანისამოსისა და ფეხსაცმელების ფასი ხომ ერთი ორად გახდა ყველგან.

ქუთაისის საქალაქო სკოლის მასწავლებელი ღებულობს წლიურად პირველ ხუთი წლის განმავლობაში 500 მანეთს, მეორე ხუთი წლიან 600 მან., მესამე ხუთი წლიდან 700 მან. და მეოთხე ხუთი წლიდან, ე. ი. 15 წლის შემდეგ, როდესაც სიმშილით დაბნედილს სული სძვრება, ეძლევა 800 მანეთი, მეტი არაფერი, არც ბინა, არც შეშა-განათება და არც მსახური.

როგორც ხედავთ, საშუალო რიცხვით ეძლევა მას წლიურად 600 მანეთი. ახლა მოვიყვანოთ ანგარიში აქვე, თუ რამდენი სჭირდება მას წელიწადში, რომ იცხოვროს, რასაკვირველია, ეკონომიურად: ქალაქის განაპირას ორი ოთახი სამზარეულოთი და წყლით 200 მან., ორი საჟენი შეშა—80 მან. განათება—20 მან., ტანისამოსი იაფ-ფასიანი 150 მან., აბანოსა და სარეცხის 15 მან., ექიმი და წამალი 30 მან., ჟურნალ-გაზეთები და ახალი წიგნები—35 მან., სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში წევრად ჩასაწერი და ორჯერ თვეში თეატრში შესვლა—30 მან. საჭიროება-გაჭირვების დროს ეტლი 10 მან., ახლა ვიანგარიშოთ ჭამასმა. მე აქ ვგულისხმობ ისეთ მასწავლებელს, რომელსაც ჰყავს ცოლი და 2—3 შვილი, მსახურს არ იყოლიებს და ხარჯს თვითონ გაიკეთებს ოჯახში: დღეში სამი გირვ. ხორცი სამი აბაზი, ოთხი ოყა პური—სამი აბაზი, ერთი ბოთლი ღვინო ხუთი შაური, დილა საღამოს ჩაი-შაქარი ექვსი შაური, როგორც ხედავთ, მასწავლებლის დიდის ეკონომიით გამოზომილ ხარჯებსაც კი წლიურად 1200 მანეთი მაინც მოუნდება. ის კი დღეს სცხოვრობს 600 მანეთად, მაშასადამე, აქედან ყველამ უნდა გაიგოს და იცოდეს, რომ ჩვენი ქალაქის მასწავლებლები დღეს მშიერნი და შიშველნი არიან. მათი საზრდოა მდარე ან მესამე ხარისხის წითელი პური, მჭადი, ყველი, ლობიო და ტარანი, დაძველი გაცვეთილი ტანისამოსით, რის გამოც სხვადასხვა დაწესებულებათა კრებებზე ვერ ესწრება სირცხვილისა გამო. ჟურნალ-გაზეთები კიდევ სკოლებში მოდის და წაიკითხვენ ხანდახან, თეატრისა და ლექციებისათვის სადა აქვთ ფული, კურორტებსა და აგარაკებზე წასვლას ხომ თავის დღეში ვერ ეღირსებიან.

ნუ თუ ასეთ პირობებში მასწავლებელს მოეთხოვება კიდევ, რომ მას სასურველად ჰქონდეს დაყენებული სკოლის საქმე?!

რას იტყვი მკითხველო, როგორ ხასიათზე იქნება მასწავლებელი იმ დღეს სკოლაში, როდესაც მას სადილის ფული არა აქვს და არაფერი დაუტოვებია ცოლშვილისთვის?! თვეში 50 მანეთად უცოლშვილო მასწავლებელს უჭირს ცხოვრება, თორემ ოჯახიანს როგორ ეხერხება! მშიერი მასწავლებელი 1—2 საათამდი კლასში ქაქანობს, შემდეგ მან უნდა გაასწოროს სახლში 50—60 რვეული, რასაც სულ უნდა მოახმაროს დღეში 2—3 საათიც, ხვალისათვის გაკვეთილების კონსპექტს თვალი უნდა გადაავლოს, ჟურნალ გაზეთები უნდა გადაათვალიეროს, რომ არ ჩამორჩეს მთელად ცხოვრების მიმდინარეობას, ოჯახურ საქმეებს უნდა მიხედოს, შეშა და წყალი უნდა მოიმზადოს და მეტი დროც აღარ რჩება. კერძო გაკვეთილები კიდევაც რომ იშოვნოს, არა სცალიან და თუ მოიცლის თავისი პირდაპირი მოვალეობა უნდა შეაფერხოს; თუ გინდ მოიპაროს დღეში 2—3 საათი და იმეცადინოს კერძოდ, ბევრია თუ იშოვა წელიწადში 10—12 თუმანი, რადგანაც გაკვეთილებს ქუთაისში ფასი არა აქვს: აქ ყველგან შეხვდებით ისეთ პ-რს, განსაკუთრებით სქესისა, რომელიც 2—3 მანეთად თვეში კისრულობს მოსწავლის მზადებას და მშობლებიც ხომ სიიაფეს მისდევენ.

აი, როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს ნივთიერად ქუთაისის საქალაქო სკოლების მასწავლებლები!

ამას წინად მასწავლებლებმა კოლექტიური თხოვნით მიმართეს ქალაქის სასკოლო კომისიას თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; სასკოლო კომისიამ იქონია მსჯელობა, მიაქცია მასწავლებლების გაჭირვებას ყურადღება და დაადგინა შემდეგი: ამ წლის პირველ იანვრიდან მასწავლებლის ძირითადი ჯამაგირი გადიდებულ იქნას 900 მანეთამდი, ამასთანვე მიეცეს, როგორც დღეს ეძლევა მათ ყოველი ხუთი წლის შემდეგ სამჯერ პერიოდიული დამატება 20%; ამგვარად სასკოლო კომისიამ მასწავლებელს დღევანდელი 22 მანეთის ნაცვლად გაკვეთილი დაუფასა 40 მანეთად (სხვაგან კი ეძლევათ გაკვეთილებში 50—60 მანეთი). იმედი გვქონდა, რომ საფინანსო კომისია, რომლის წევრებათაც შეგნებული პირნი არიან, დააფასებდა მასწავლებელთა შრომას და დაადასტურებდა სასკოლო კომისიის დადგენილებას, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: საფინანსო კომისიამ იუცხოვა მასწავლებელთათვის 900 მანეთის დანიშვნა წლიურად, იმ მოსაზრებით, რომ „მასწავლებლები მეტი მაძღარნი იქნებიან და მერმე მუშაობა დაეზარებათო“, არ დაეთანხმა სასკოლო კომისიას და დაადგინა მოემატოს მასწავლებლებს 10% დღევანდელი ჯამაგირისა, ე. ი. დღეში 18 კაპიკი, ერთი ოყა პურის ფასი; ასე სასაცილოდ აიგდო საფინანსო კომისიამ უილბლო მასწავლებლები.

ამ მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს მოხსენდება კომისიების დადგენილებანი, ამიტომ მეტად საჭიროა თითოეულმა ხმოსანმა კარგად გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ხარჯები და სამართლიანად იმსჯელოს ამ საკითხის შესახებ.

არც 10 ისა და არც 20 პროცენტის მომატება ბევრს არაფერს უშველის მასწავლებლებს, ყველაზე უწინ საჭიროა ძირითადი ჯამაგირის გადიდება 800 მანეთამდი მაინც, ისე როგორც ბაქო ბათომ-თფილისში ეძლევათ. კიდევ ვიმეორებ, რომ მშიერი კუჭით სკოლაში მუშაობა შეუძლებელია: ჩვენი ქალაქი ინახავს სულ ოთხ სკოლას და დიდი სირცხვილიც არის, რომ მასწავლებლები მშიერნი და შიშველნი ჰყავდეს!..

**ლადო ბზვანელი.**

# საქართველოს ღვინოები და რუსეთის ბაზარი.

საქართველოს მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგს შეადგენს **მევენახობა-მეღვინობა**, რომელიც მეტათ გავრცელებულია **კახეთსა და ზემო-იმერეთში.**

სამწუხაროთ, არ მოგვეპოება ჭეშმარიტი სტატისტიკა ჩვენი მევენახობის შესახებ, დაახლოვებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კახეთში იქნება თითქმის 15.000 დესეტინა ვენახი და ამდენივე კიდევ ზემო-იმერეთში. საქართველოს დანარჩენ კუთხეებში კი, მაგ., ქართლში, ქვემო-იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში, დიდი შეცდომა არ იქნება, რომ აღვნიშნოთ დაახლოვებით 20.000 დესეტინა ვენახი. მაგ. მთელ საქართველოში ვენახის რაოდენობა იქნება თითქმის **50.000 დესეტინა.**

ერთ დესეტინაზე რომ ვიანგარიშოთ საშუალოთ 200 ფუთი ღვინო, გამოდის, მთელ საქართველოში მოსულა წლიურათ **10 მილიონი** ფუთი. ამ ღვინოების ოთხ წილზე მეტი იხარჯება ადგილობრივ და მხოლოდ ერთი მეხუთედი ძლივს გადის რუსეთში. ჩვენი ღვინოების უმთავრეს ბაზრებს შეადგენენ: თფილისი, ბაქო, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, სოხუმი და საზოგადოთ შავიზღვის პორტები. აგრეთვე ჩვენი ღვინოები გადის მოსკოვში, პეტროგრადში ვარშავაში და ციმბირშიაც კი.

საქართველოს ღვინოების ასე მცირე გასავალი რუსეთის ბაზრებზე აიხსნება უმთავრესათ მათი მდაბალი, პრიმიტიული ტეხნიკით. ჩვენი სოფლელი, გლეხია იგი თუ აზნაური, ადუღებს და აყენებს ღვინოს ქვევრსა და კურებში და ორი-სამი თვის შემდეგ ჩამოაქვს კიდეც გასაყიდათ, ან მასთან მიდიან სირაჯები და ყიდულობენ. იშვიათი შემთხვევაა, რომ ქართველმა მემამულემ ღვინო გააჩეროს მარანში ერთ წელიწადზე მეტი, რადგან უფულობა, მასთან ჰურჭელიც არ აქვს მეტი. ამრიგათ ბაზარზე გამოდის **ახალი ღვინო.** ამას კი ევროპაში არ ეძახიან ნამდვილ ღვინოს, ეს მხოლოდ ნედლი მასალაა მომავალ ღვინისათვის, რომელიც მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ გახდება ნამდვილ ღვინოთ, თუ ეს მასალა გააჩერეთ და შესაფერისათ მოამზადეთ კარგათ მოწყობილ სარდაფში, სადაც ღვინო იწმინდება, ეცლება ზედმეტი ცილოვანი ნივთიერება, რომელიც აფუჭებს მას და უკეთდება ბუკეთი და არომატი. ახალი ან ერთი წლის ღვინო ხშირათ ვერ უძლებს შორეულ მგზავრობას, სიცხე-სიცივეს და ან ფუჭდება გზაშივე, ან მიტანილ ადგილზე.

აი უმთავრესი მიზეზი, თუ რათ არ გააქვთ ჩვენი ღვინოები რუსეთის ბაზარზე, სადაც საზოგადოთ ღვინოების ისე დიდი მოთხოვნილებაა.

რუსეთის ბაზარზე დღემდი უმთავრესათ გადიოდა საფრანგეთის, იტალიისა და ესპანიის სასუფრე, შუშხუნა და ტკბილი ძვირფასი ღვინოები, ამასთან ერთად დიდი ღვინოები მზადდებოდა ხელოვნურათ თვით რუსეთის ზოგიერთ ქალაქში, მაგ., მოსკოვში, ვარშავაში და სხვაგან. ეს ღვინოები მზადდება უმთავრესათ შაქრიდან, ქიშმიშიდან და სხვადასხვა ხილიდან, შიგ ურევდენ სპირტს, სახარინს, და ათასგვარ საწამლავ სალებავებს და შამპანურის, ხერესის, მადერის და მალიაგას სახელით ყიდდენ მილიონ ფუთობით, სწამლავდენ ხალხს და თავის სიიაფით დიდ ზიანს აძლევდენ ყირიმ-ბესარაბიისა და საქართველოს მეღვინეობას. ამრიგათ რუსეთში ღრმა ფესვი გაიდგა და **გაბატონდა მავნე ხელოვნური ღვინოები, ღვინის საშინელი ფალსიფიკაცია.**

ამ ხელოვნურ ღვინის ფაბრიკაციასა და ფალსიფიკაციის წინაამდეგ აიმაღლეს ხმა რუსეთის პრესამ, საზოგადოებამ და განსაკუთრებით ყირიმ-ბესარაბიის მეღვინეებმა; გაიმართა მედგარი ბრძოლა. ბოლოს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება ამ მავნე მოვლენას და **გამოსცა წესები ყურძნის ღვინის დაყენების, შენახვის და გაყიდვის შესახებ.** ეს წესები მოიწონა სახელმწიფო საბჭომ და სათათბირომ შარშან 24 აპრილს. ამ ფრიად საგულისხმო წესებით **სასტიკათ იდევნება ხელოვნური ღვინოები ღვინის ფალსიფიკაცია და ეხსნება ბაზარი მხოლოდ ყურძნის ბუნებრივ ღვინოებს** ამრიგათ რუსეთში მიეცა ფართოასპარეზი ჭეშმარიტ მევენახობა-მეღვინეობას, რომელიც აქამდი ისე დაჩაგრული იყო ხელოვნურ ღვინოებისა და ფალსიფიკაციის გამო. ამ ფრიად სასურველ წესების დამტკიცების დღიდან იწყება **ახალი ხანა რუსეთისა და ჩვენს მევენახობა მეღვინეობაში.**

მაგრამ ამ დროს მოხდა მსოფლიო ომი, რის გამო მთავრობამ აკრძალა მთელ რუსეთში ღვინის, არაყისა და საზოგადოთ ყოველგვარ სპირტოულის გაყიდვა. ამ განკარგულებამ საოცრათ დასცა ღვინოს ფასები როგორც საქართველოში, ისე რუსეთის სეღვინე რაიონებში, [illegible] ყველგან და ჩვენშიაც [illegible] და სამიკიტნოები. [illegible] მაგ., იმერეთში 4—5 თუმნიდან დაეცა 15—10 მანეთამდი. ასეთმა მოვლენამ მევენახენი და მეღვინეები ჩააგდო დიდ გაჭირვებაში, შესამჩნევათ დაეცა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა. ამას დაერთო საქართველოში გოგირდისა და შაპიამნის საარაკო გაძვირება ჩვენი მადა აღძრულ ჩარჩ-ვაჭრების წყალობით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა კახელი და მეტადრე ზემო იმერელი გლეხი, რომლის ცხოვრების უმთავრეს სახსარს შეადგენს ვენახი და ღვინო. ამ ორ უბედურებას ზედ დაერთო კიდევ მესამე: ამ გასულ აპრილის ბოლო რიცხვებში მოილუშა ცა, აცივდა საოცრათ, მოვიდა ბევრ ალაგს თოვლი, მოსწვა და გაანადგურა ვაზის ახლათ გამოსული ყლორტები და მტევნები. ამ რიგათ ამ ერთი კვირის უცნაურმა სიცივემ უსაზღვრო ზიანი მისცა არამც თუ მარტო იმერეთს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს. ვგონებ, არა უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდა ქართლისა და კახეთის ზვრები და ვენახები.

— ამავე ხანებში მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი: სომხის ჩარჩები და სირაჯები მოედვენ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კახეთსა და იმერეთს, ყიდულობენ აურაცხელ ღვინოს. ამ ღვინის მეტ ნაწილს, გზავნიან რუსეთში, ზოგსაც ინახვენ ქუთაისის და თფილისის სარდაფებში. ამის გამო თანდათან აიწია ღვინის ფასმა და 15 მანეთიდან იმერული საპალნე, ე. ი. 12 ფუთი ღვინო ავიდა **4—5 თუმნამდი.** ჩარჩებმა, ეჭვი არაა, მიმართეს ჩარჩულ ხრიკებს და მეტი ნაწილი ღვინოებისა იყიდეს მეტათ დაცემულ ფასებში, ე. ი. **15—20 მანეთში საპალნე;** ამგვარადვე მოიქცენ კახეთში, სადაც ჩალის ფასათ დაიბევეს კიდევაც გლეხთა და მემამულეთა მომავალი რთველი. რას ამტკიცებს ეს, თუ არა ჩვენი ხალხის სრულს უსწერობას და უპატრონობას! სავალალოთ, **ჩვენს ხალხს არ ყავს დღემდი არავითარი პატრონი, ქომაგი და შეგნებული მეთაური, რის უქონლობაც სიღარიბე-უმეცრებაში ნთქავს მშრომელ ხალხს...** რაღა გვეთქმის სხვებზე, როცა თვით ამ ხალხის საკუთარი ძმები, ჩვენი „ძმული“ ვაჭრები ტყავს აძრობენ მას და ყიდიან 2 მანეთიან გოგირდს **15 მანეთად** და 4 მანეთიან შაბიამანს კი **25 მანეთად!**

**სიმონ ქვარიანი.**

(შემდეგი იქნება.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

გაყიდულია ორ მილიონ ბანკაზე მეტი.

ახალგაზდობასა და სილამაზეს გვრის

**ქალის ყოველგვარ სახეს.**

**კრემი კაზიმი**

**მეტამორფოზა**

—სავსებით სპობს ჭორფლს,—

ფერმკრთალს, სახის ნაოჭებს, მზისაგან დამწვარს და ყოველგვარ სახის ნაკლულოვანებას.




**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**

ფასი 60 კაპ. წ.